



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №26

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. სენაკი

სამანდატო დროებითი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

1. 2017 წლის 21 ოქტომბერს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომისთვის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას დროებითი სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ელისო ცაგურია.
2. იური ქორიძე.
3. გენადი ხუხუნი.

2. დაევალოს სამანდატო დროებით კომისიას თავისი უფლებამოსილებები განახორციელოს საკრებულოს მიერ შესაბამისი მუდმივი კომისიის არჩევამდე.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. N247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის თავმჯდომარე

როზმანი ქამადაძე